№ 253
შაბათი, 6 დეკემბერი, 1897 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1897

ივერია

№ 253
შაბათი, 6 დეკემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 9 დეკემბერს.

ვყიდულობთ

ცოცხალს, კავკასიის გარეულ ცხოველებს:
ირმებსა, ჯეირნებს, ვეფხვებს, ჯიხვებს, ხრჩვებს, არნებს, ფოცხვერებს და სხვ.

საჭიროა აგრეთვე დიდრონი ირმის რქები და გარეული ფრინველები.

მიხეილის ქუჩა, № 106, ეზოში; სახლი ბარამოვისა. იკითხეთ **ჰუგო გინკლერი.**
(6—212—4)

სახელმწიფო თეატრი
ორშაბათს, 8 დეკემბერს, 1897 წ.

კნეინა ნ. დ. ჩოლოყაშვილის მეთაურობით სცენის მოყვარეთა მიერ ქართული თეატრის სასარგებლოდ გამართული იქმნება წარმოდგენა ცოცხალი სურათებით.

წარმოდგენილი იქმნება

I

ბაიყუში

კომედია 2 მოქ. თხზ. ა. ცაგარლისა.

II

ბიძიასთან გამოცხადება

კომ. 1 მოქ. თავ. რ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: კნეინა ს. მ. წერეთლისა, კნიაჟნები ე. მ. წერეთელი, ს. ზ. ანდრონიკაშვილი. თავადნი დ. ე. ჩოლოყაშვილი, ა. რ. ვახვახიშვილი, ნ. მ. ჯორჯაძე, გ. დ. ქურული, ა. დ. თუმანიშვილი.

III

ქართული საერო

ხორო

ბბ. მჭედლიშვილისა და კავსაძისა
შეასრულებს ქართულ სიმღერებს.

IV

ცოცხალი სურათები **„ვეფხვის ტყაოსნიდგან"**.

ცოცხალ სურათებში მონაწილეობას მიიღებენ: კნეინები მ. ტ. ბარათაშვილისა, მ. ი. ჩოლოყაშვილისა, ს. მ. წერეთლისა, კნიაჟნები ნ. ი. ამილახვარი, ვ. ა. ბაგრატიონ დავითიშვილი, ე. ლ. მაღალაშვილი, ვ. ა. რუსიშვილი, ე. მ. წერეთელი, თავადნი ი. დ. აბაშიძე, დ. კ. მიქელაძე, ა. რ. ვახვახიშვილი, ნ. მ. ჯორჯაძე, გ. დ. ქურული, დ. ე. ჩოლოყაშვილი, გ. ა. ერისთავი, ა. დ. თუმანიშვილი და სხვ.

სურათებს დასდგამს მხატვარი ბ. ბ. კოლბინი.

ანტრაქტების დროს ოპერის ორკესტრი დაუკრავს.

დასაწყისი სრულს საღამოს 8 საათ.

დარჩენილი ბილეთები წარმოდგენის დღემდე იყიდება თავად-აზნაურთა თეატრის კასაში, ხოლო წარმოდგენის დღეს სახელმწიფო თეატრში.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. მ. ზუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი სეკრეტრობა: სამაზრო პოლიციის სამმართველოების მდივნებს ტფილისისას ღულაძეს და გორისას—გოგოხიას,—ტფილისის სამაზრო პოლიციის სამმართველოს საქმის მწარმოებელს ინდუაშვილს; გუბერნსკი სეკრეტრობა—სიღნაღის სამაზრო პოლიციის სამმართველოს თარჯიმანს ბეგიაშვილს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ტფილისის სამაზრო პოლიციის სამმართველოს კანცელარიის მოხელეებს თავად ბარათაშვილს, დუშეთის მაზრის ქვიშხეთის საბოქაულო ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს ფურცელაძეს, ქალაქ ტფილისის პოლიციის მოხელეს თავად რატიშვილს.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ, 4 დეკემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ-ნ ვ. გამყრელიძის საბენეფისოდ წარმოადგინა ი. ლაზარიაშვილის პიესა, ოთხ-მოქმედებიანი დრამა „მამა" და ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „ახირებულია". პირველი პიესა საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა. არტისტებმა მშვენივრად შეასრულეს თავისი როლები. მარტო ვოდევილმა „ახირებულია"-მ, არა ერთხელ წარმოდგენილმა ჩვენს სცენაზედ, ამ ხელად გაცილებით უფრო სუსტად ჩაიარა. საზოგადოება წარმოდგენას საკმაოდ დაესწრო; მობენეფისეს რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვეს.

⁂ ამას წინად ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ ტფილისის ხელოსანთ მადლობა გადაუხადეს თავიანთ უსტაბაშს ბ-ნ სერობიანცს 2000 მან. შენახვისა და გადარჩენისათვის. ეხლა როგორც გაზ. „მშაკი"-დგანა სჩანს, ბ-ნ სერობიანცს ამ ფულის უმეტესი ნაწილი უკანონოდ აქვს შეგროვილი. კანონის ძალით ხელოსანთა გამგეობა იმ მოწმობებში, რომელსაც ხელოსნებს ურიგებს, 3 მანეთს უნდა იღებდეს; ბ-ნი სერობიანცი თითქმის ყოველ მუდამ მეტს იღებდა ხოლმე. ერთს ყრუმუნჯს, მაგალითად, 27 მანეთი გამოართვა, სხვებს ზოგს—38 მან. 30 კ., ზოგს კიდევ—7 მ. 50 კ. და სხვ. ამ რიგად 1,000 მან. მეტი მოგროვდა, რომელსაც „შენახულის ფულის" 2000 მან. ნახევარი შეადგინა და რომლისათვისაც სერობიანცს თავის მომხრეებმა დიდი მადლობა გადაუხადეს. მეორე ნახევარი ე. ი. 1000 მ. ერთმა კაცმა შესწირა

ფელეტონი

ნაწყვეტი

—

შენმა მგზნებარე თვალებმა
ზეცისკენ ამაფრიალა,
გულს ცეცხლი შემომაყარა,
ამანთო, ამაპრიალა,
დიდის ხნის სევდა-ნაღველი
უეცრად გამიტიალა,
სამოთხის სასუფეველი
შიგ გულში დამიტრიალა!

დ. მაჩხანელი

◆◆

უცხოეთა შორის

კოოპერატიული მოძრაობა ინგლისში. —„ხასიათის გამასწორებელი ინსტიტუტი.—როჩდეილისებური ამხანაგობანი. —დეპუტატთა ამორჩევა. —ნავაჭრის კვალობაზედ მოგების განაწილება.— „სამრეწველო ზნეობა."—ამხანაგობათა ბრწყინვალე მდგომარეობა.—მწარმოებელი ამხანაგობანი. — „კავშირი". — „თვით-განვითარების წრეები".

ამ ხელად მე მსურს მკითხველთ ინგლისის კოოპერატიული მოძრაობა ანუ სავაჭრო ამხანაგობათა წარსული და აწმყო მდგომარეობა გავაცნო. ამ მოძრაობის დასაწყისად 1816 წელს რობერტ ოვენის მიერ ნიუ-ლენერკში დაარსებული „ხასიათის გამასწორებელი ინსტიტუტი" უნდა ჩაითვალოს. ამ საამხანაგო დაწესებულების შესახებ აი რასა სწერს ოვენი 1834 წ. ერთს თავისს გულითადს მეგობარს: „შეიტყობდი, რა ნაყოფი მოიტანა ჩვენმა ცდამ, თუმცა ეს ცდა ადამიანთა ძველ შეხედულება-ზნე-ჩვეულებას ძირიანად ეწინააღმდეგებოდა. ოც-და-ცხრა წლის განმომავლობაში მსაჯულ-ვექილნი არ დაგვჭირებიან. ერთხელაც არ მივიმართნია სასჯელისათვის. არ ვიცოდით, გარდასახადი რა საჭირო იყო. სამუშაო დრო შევამცირეთ მუშათათვის, ყრმათათვის სამაგალითო განათლება შემოვიღეთ, მოზრდილთა ყოფა-მდგომარეობა გავაუმჯობესეთ და ქარხნის შემოსავლის მონაწილეთ გავხადეთ ისინი, გარდა ამისა, სამასი ათასი გირვანქა სტერლინგი (გირვანქა სტ.=6 მ. 28 კ.) მოგება დაგვრჩა". რობერტ ოვენმა „კოოპერატიულ საზოგადოების" წესდებაც შეადგინა, მაგრამ, საუბედუროდ, ინგლისში ამ გვარ საამხანაგო დაწესებულებათ ფეხი ვერ მოიკიდეს, რადგანაც წინ წევრთა საზოგადოებრივი მოუმზადებლობა და ათასი სხვა-და-სხვა გვარი ხელის შემშლელი გარემოება ელობებოდა. აქ მხოლოდ ზოგიერთთ დავასახელებ. გარდა იმისა, რომ მოვაჭრეებმა დიდი ბრძოლა-წინააღმდეგობა დაუწყეს ამ ამხანაგობათ, საზოგადოების უმრავლესი ნაწილიც გულგრილად და ალმაცერად უყურებდა, რადგანაც სარგებელი მხოლოდ ამხანაგობის წევრთ ეძლეოდათ, მყიდველნი-კი, რომელთა ნავაჭრიდგან გროვდებოდა თავნ-სარგებელი, პირდაღებულხახამშრალნი რჩებოდნენ მოგების განაწილების დროს. ამის შემდეგ მყიდველნი ამხანაგობაზე გულს იცრუებდნენ და საფუძველი არა ჰქონდათ ამხანაგობათა დუქან-საწყობისათვის უპირატესობა მიეცათ. მეორეც ისა, რომ ამხანაგობის დუქნებიდგან საქონელს ნისიად აძლევდნენ, რასაც დიდი ზარალი მოსდევდა. ნისიის მიცემა აინუნში არავის მოსდიოდა, როცა სთხოვდნენ, ცივს უარს დაჰკრავდნენ. მხოლოდ როჩდეილისებურ ჯურის ამხანაგობამ გაიდგა მაგრად ფესვები ინგლისში და მძლავრ განვითარებასაც მიაღწია.

1843 წელს როჩდეილელ ქარხნის ფეიქართ გადასწყვიტეს ჯამაგირის მომატება ითხოვონ. მაშინ ინგლისში მწარმოებელთ მუშა ხალხი სრულს დამონებაში ჰყავდათ. შეკავშირება-შეამხანაგების უფლება, რომელიც მათ პარლამენტმა შემდეგ მიანიჭა, მაშინ დანაშაულად ეთვლებოდათ. დიდის ხნის რჩევა-თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს: ერთ-ერთ ქარხნის პატრონს ამორჩეული კაცები (დეპუტატები) გაუგზავნონ. თუ თხოვნა შეუწყნარებელი დარჩება, მაშინ ქარხნის მუშათ სამუშაოზე სრულებით ხელი უნდა აიღონ და დანარჩენი ქარხნის მუშანი მოვალენი არიან კვირაში ორ-ორ პენსის (ხუთი გროში) ფულის შეტანით თავიანთ ამხანაგთ შემწეობა გაუწიონ. მხოლოდ ერთი საძნელო საქმე-ღა რჩებოდათ ასასრულებელი: დეპუტატთა ამორჩევა. იმ დროს თითოეულს დეპუტატს თავისი თავი დაღუპულად უნდა ჩაეთვალა. მექარხნეს იგი ყოველთვის თვალში ჰყავდა ამოღებული, ვითარცა მეამბოხე და ამჯანყებელი; ყოველს შემთხვევაში იმასა სცდილობდნენ იგი თავიდგან მოეშორებინათ. ჩვეულებრივ დეპუტატად გონება მახვილ და განვითარებულ მუშათ ირჩევდნენ და მიზეზიც ეს არის, რომ ისინი მწარმოებელთ ესე თვალის ეკლად ეჯავრებოდათ. დათხოვნილი დეპუტატი სხვა ქარხანაშიაც ძვირად იშოვნიდა სამუშაოს, რადგანაც მოუსვენარის კაცის სახელი გაუვარდებოდა. ყველა მწარმოებელი ერიდებოდა იმისს მიღებას, ამის გამო, მიუხედავად თავისის ჭკუა-გამოცდილებისა, იგი სამწუხარო მდგომარეობაში ვარდებოდა. ამისთანანი ხშირად საპყრობილეშიაც ამოჰყოფდნენ თავს რამე უმნიშვნელო მიზეზისა გამო. მოსამართლეებად ხომ ისევ ის, ის მექარხნენი ან მათგან დამოკიდებულნი კაცნი იყვნენ. საპყრობილიდგან გამოსვლის შემდეგ მას „საშიშ ადამიანის" დაღი ესვა და ყველანი შორს უფრთხილდენ. უკეთეს შემთხვევაში იგი თავისის სამშობლოდგან უნდა გადახვეწილიყო, ან არა და, სასოწარკვეთილება-უიმედობის შავ-ბნელ ჯურღმულს მისცემოდა.

— ვინ წავა? ეს იყო ძველი საკითხი ეზოპის იგავ-არაკისა. თაგვებმა გადასწყვიტეს, კატას ზარი უნდა დავკიდოთო; მაგრამ იმისთანა გულადი კი არავინ აღმოჩნდა, ეს საქმე ეთავებინა. სახეში ისიც მისაღებია, რომ მაშინ ინგლისში მუშა ხალხი გაუნათლებელი, უმეცარი იყო. მაშინ ოცნებად მიაჩნდათ არა თუ სახალხო უნივერსიტეტი, მოძრავი წიგნთ-საცავი და სახალხო გაზეთი, არამედ უბრალო საყოველთაო წერა-კითხვის გავრცელებაც-კი. ბოლოს აღმოჩნდნენ გამბედავნი; ესენი რობერტ ოვენის მიერ შედგენილ წესდებასაც კარგად იცნობდნენ. მართლაც, საქმე ისე დატრიალდა, როგორც მოსალოდნელი იყო: ქარხნების პატრონთ ჯამაგირის მომატებაზედ უა

ხელოსანთ სიკვდილის დროს, ასე რომ ამ ფულის შენახვაში სეროზიანცს არაფერი ღვაწლი მიუძღვის. გარდა ამისა ბ-ნი სეროზიანცი არასოდეს წლის დასაწყისს არ ადგენდა ხარჯთ-აღრიცხვას, რაიცა კანონის, სახელდობრ 358 მუხლის ძალით, სავალდებულოა.

⁂ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ეს ერთი თუ ნახევარი წელიწადი იქმნება, რაც ვერაზედ დასახლებულს ქართველებს სხვა-და-სხვა ვაჟბატონებმა საჩივარი დაუწყეს მიწის თაობაზედ. ისინი ამტკიცებენ, რომ ის მიწა, რომელზედაც ქართველები არიან დასახლებულნი, ჩვენია და იმათ ძალად მიითვისესო. სხვათა შორის, ასეთი საჩივარი ვიღაც თაიროვმა აუტეხა ილიკო წამალაშვილს, რომელიც ეს ათი წელიწადია ვერაზედ, თაიროვის მამულის გვერდზედ სცხოვრობს. თაიროვმა საჩივარში განაცხადა, რომ ადგილი ჩემიაო, და საბუთად 1881 წლის 25 სექტემბრის ნასყიდობის ქაღალდი და 1882 წელს, 30 დეკემბერს ვიღაც შოშიევთან დადებული იჯარის ხელ-შეკრულობის ქაღალდი წარადგინა. ამ საქმის თაობაზედ მოწმეებიც იყვნენ დაბარებულნი. მომრიგებელმა მოსამართლემ საქმე თაიროვის სასარგებლოდ გადასწყვიტა, ხოლო ოლქის სასამართლომ დაამტკიცა მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი. საქმე იქამდის მივიდა, რომ წამალაშვილს უნდა დაენებებინა თავი იმ ადგილისთვის, რომელზედაც ათ წელიწადზედ მეტი სცხოვრობდა, და სხვაგან სადმე წასულიყო. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ თაიროვის მიერ წარდგენილი საბუთები ამ საქმეს სრულიად არ შეეხებოდა თურმე. წამალაშვილის ვექილმა ბ-ნმა გვაზავამ ეს საქმე გადაიტანა სამოსამართლო პალატაში, რომელმაც 29 ნოემბერს ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და მასვე დაუბრუნა იგი ხელ-ახლად განსახილველად. ამ რიგად, ეს საქმე ისევ ოლქის სასამართლოს გარდაეცა, რომელიც უთუოდ ეხლა მაინც გამოარკვევს ჭეშმარიტებას და ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცებს, მართალნი არიან ის მოდავენი, რომელნიც ათისა და ოცის წლის დაბინადრებულის კაცების გადასახლებას სცდილობენ, თუ არა?!.

⁂ ბაქოს გუბერნიის, ბოჟიპრომისლის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში საერთაშორისო დეპეშების მიღებაც დაუწყიათ.

⁂ გაზეთის „СВѢТЪ“-ის სიტყვით, შუამდგომლობაა თურმე აღძრული, რომ ამიერ კავკასიაზედაც გავრცელებულ იქმნას სამელიარატიო კრედიტი, ესე იგი, კრედიტი მამულის განკარგებისათვის.

⁂ 30 ნოემბერს აზ. გრ. დ—მ რევოლვერის ტყვიით მძიმედ დასჭრა ონის საზოგადოების მამასახლისი ს. მოსიძე. აი, გარემოება ამ საქმისა: 30 ნოემბერს, საღამოს, სოფ. გორიდგან ს. მოსიძე დ. ონისკენ სახლში მიდიოდა. ონს რომ მიუახლოვდა, წინ შეხვდა თურმე გრ. დ. რა მოხდა მათ შორის, ჯერ არავინ იცის, ეს-კი ცხადია, რომ მამასახლისი დაჭრილ იქმნა რევოლვერით. იმ დროს იქ არავინ შესწრებია. დაჭრილმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და, როგორც იყო, მივიდა ონის ბოლომდის, საიდგანაც მგზავრებმა სახლში მიიყვანეს საბრალო. დამნაშავე დაპატიმრებულია.

ამ დღეებშივე სოფ. გვარდიაში ვიღაცის მოკლულის გვამი იპოვნეს. როგორც სჩანს, მიცვალებული ქალი უნდა იყოს. დამნაშავეთ პოლიცია დაეძებს. (,,ნოვ. ობოზ.“)

⁂ გორის მაზრის ხიდისთავის საპოლიციო ნაწილში 22 ნოემბრიდგან 1 დეკემბრამდის 4 სული პირუტყვი იყო ჭირით ავად, ხელ-ახლად გახდა ავად 4, მორჩა 3, მოკლულ იქმნა 3 და დარჩა 2. საქონლის პატრონთ 53 მან. მიეცა სამ მოკლულ პირუტყვის ჯილდოდ.

⁂ გაზ. „კავკაზის“ სიტყვით ჰბრალდებულთ, რომელთაც ბოქაულის თავ. აბაშიძის მკვლელობა ჰბრალდებოდათ და რომელნიც სამხედრო სასამართლომ დამნაშავედ სცნო, საჩივარი პეტერბურგში, მთავარ სამხედრო სასამართლოში გადაიტანეს.

⁂ გაზ. ,,სვეტი“ სწერს, რომ საიმპერატორო საჯარო წიგნთ-საცავს მოუვიდა 10 გუჯარი ქართულისა და 11 ფირმანი არაბულისა, ოსმალურისა და სპარსულის ენით დაწერილი, რომლებიც კავკასიის ,,ნამესტნიკად“ ყოფილის არხივში უპოვნიათო. ყველაზედ ძველი გუჯარი 1440 წ. არის თურმე დაწერილი.

⁂ ქ. დუშეთი: ამას წინადა გწერდით, დუშეთში ყვავილი ძ სახადი გაჩნდა-მეთქი. ჯერ-კი ამ გვარს ცნობებს იძლეოდენ, ეხლა-კი გაიძახიან, არა, ყვავილი-კი არა, წითელა არისო... ნამდვილად კი ორივეა—ყვავილიცა და წითელაც. სახადის შესახებ ცნობაც ხომ წინად შეგატყობინეთ; ამ გვარად ეხლა დუშეთში სამგვარი სენია გადამდები. წითელამ ერთი კიდეც იმსხვერპლა. საკვირველია, ღმერთმანი, იმის თქმა, რომ ყვავილი არააო! აბა მიბრძანდნენ წყაროს ზევით ბერძნიაანთ უბანში და ჰნახავენ, არის თუ არა; თუ შიგ დუშეთში ვერ გამოურკვევიათ, რა სენია და რა არა, გარეშე სოფლებიდგან როგორს-ღა ცნობებს უნდა მოველოდეთ ჩვენის მოწესრიგეებისაგან. ჩვენი ექიმიც შინიდგან კარზედ კვლავ არ გამოდის და გვარწმუნებს, რომ მე ნება მომცეს, მხოლოდ ისეთი სამსახური შევასრულო, რისაც ჩემსავე სახლში შესრულება შეიძლებაო და იმას-კი აღარ ამბობს, ეს დალოცვილი, ისეთის საქმეების აღსრულება ვიღას მიანდეს, რომლის მის სახლში შესრულება არ შეიძლება. ნეტა ვიცოდეთ, მართლა მისცა ვინმემ ეს ახირებული ნება, ან ვის ჩააბარეს ჩვენი ბედ-იღბალი, როცა სამ-სამი სახადი კარზედ მოგვადგა და უექიმობით ასე გაჭირვებულები ვართ.

⁂ იქიდგანვე. ამ ორის დღის წინად გაჰქურდეს სანთლის საწყობი და, როგორც ამბობენ, ორ თუმნამდე მოუპარავთ. ეს საწყობი ერთობ ცუდსა და უხერხულს ალაგას არის, სამიკიტნოში. ბავშვებისა და მანდილოსნებისათვის იქ სანთლის სასყიდლად მისვლა არამც თუ მოუხერხებელი, შეუძლებელიცაა. არც გაქურდვაა პირველი ამ სანთლის საწყობისა. სასურველია, რომ ამ გარემოებას ვინმემ ყურადღება მიაქციოს და სანთლით ვაჭრობა უფრო რიგიანად მოაწყოს და შესაფერი ალაგიც უშოვოს.

⁂ ს. თიანეთი. როგორც კანონით არის დაწესებული, სოფლის მღვდელს თავისი მრევლისაგან ეძლევა უფასოდ სახლი, მაგრამ, როგორც სჩანს, ჩვენი მღვდელი ეს რამდენიმე წელიწადია ამ წესს ყურადღებას არ აქცევს და თავის ნებით სადაც მოეწონება, ქირაობს სახლებს სოფლის დაუკითხავად. როდესაც იგი პირველად გაამწესეს თიანეთში, სცხოვრობდა მღვდლისთვის აშენებულ სახლებში, მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ, დაატყო თუ არა თავისს თავს, რომ იმ სახლებში ცხოვრება აღარ ეკადრებოდა, მოინდომა თიანეთის საზოგადო სახლებში ცხოვრება და დასახლდა კიდეც იმ პირობით, რომ როგორი შენობაც ჩაიბარა, ისეთივე უნდა ჩაებარებინა საზოგადოებისათვის და წელიწადში უნდა ეძლია ოთხი თუმანი ქირა. სამის წლის საზოგადო სახლებში ცხოვრების შემდეგ შეატყო, რომ იმ სახლებში ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, მიატოვა მინგრეულ-მონგრეულს სახლებს თავი და კერძო კაცისაგან სოფლის დაუკითხავად დაიქირავა სახლი წელიწადში რვა თუმნათ. ეხლა ეს გარდასახადი სოფელს გარდაახდევინეს, თუმცა კი სოფელი ამბობდა, რომ როგორც იქირავა, ისე ქირაც გადაიხადოსო, რატომ ჩვენ არა გვკითხა, იქნება, თუ მუქთად არა, ცოტა ნაკლებ მაინც გვეშოვნაო. მაგას სადაც სახლები მოეწონოს და დაიქირაოს, ჩვენ სადა გვაქვს მაგის თავიო, თუ არა და, რატომ იმ სახლებში არა სცხოვრობს, რომელიც მღვდლისთვის არის აშენებულიო. მაგრამ ყურს ვინ უგდებს სოფლის ჩივილს და ბეჩაობას?? ეხლა ხელ-ახლად თავისისავე ნებით დაუქირავებია ახალი სახლი და თიანეთის საზოგადო სახლებსაც თავს არ ანებებს: ზედა სართული გაუხდია სათივეთ და თავისის ცხენის ზამთრის საკვებს ინახავს, ქვედა სართული კი სალორედ! ასე სასაცილოთ იგდებს სოფელს და ხმის გამცემი კი არავინ არის!..

⁂ სოფ. ჯუმათი. ჩვენს სოფელში კაი ხანია სამინისტრო სასწავლებელია დაარსებული, რომელიც ცოტად თუ ბევრად ხელს უწყობს ხალხში წერა-კითხვის ცოდნის გავრცელებას. ეხლახან სასწავლებელს ახალი მასწავლებელი მოუვიდა, რომელიც მოსვლისათანავე გულ-მოდგინედ შეუდგა თავისს მოვალეობას. იშოვა თავისუფალი მამული და განზრახვა აქვს ბავშვებს ბაღოსნობა შეასწავლოს. აგრეთვე გვპირდება წიგნთ-საცავის დაარსებას და ამ აზრით ფულის მოგროვებაც უკვე დაიწყო. იმედია, მასწავლებელს სხვებიც ხელს შეუწყობენ და შეაძლებინებენ ამ საქმის სისრულეში მოყვანას.

⁂ 3 დეკემბერს, საღამოს 9 საათზედ, მანდანოვის მატყლის ქარხნის მუშას, სპარსეთის ქვეშევრდომს მურად ყაზაროვს, ქარხნიდგან მიმავალს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველები დაეცნენ გზაში და მოჰკლეს. ყაზაროვი მეორე დღეს, 4 დეკემბერს, დილის 7 საათზედ მკვდარი იპოვნეს. ორივე ჯიბე მოჭრილი ჰქონდა. განსვენებულს ყაზაროვს ცოლი და ექვსი წვრილ-შვილი დარჩა. გამოძიება სწარმოებს.

◆

კიდევ რამდენიმე სიტყვა ქართველ-კათოლიკეთა შესახებ.

იყო დრო, როდესაც ჩვენს ეკკლესიებში ქართული წირვა-ლოცვა გაისმოდა. და ჩვენი მამა-პაპანიც

რი განაცხადეს და ამასთან ოც-და-რვა დეპუტატმა სამუშაო დაჰკარგა. მაგრამ ამათ უწინდელებრ ყურები როდი ჩამოჰყარეს. შეგნებული ჰქონდათ, რომ გასამარჯვებლად უპირველეს ყოვლისა დამოუკიდებლობის მოპოვებაა საჭირო და გადასწყვიტეს, შეკავშირებით მოიპოვონ ეს დამოუკიდებლობა. და აი, ამ ერთმა მუჭა ღარიბ-უმწეო ხალხმა როჩდეილში სისრულეში მოიყვანეს ის, რასაც წინად ვერ ახერხებდნენ.

„1843 წ. დამლევს, ნოტიო, ჯანღ-ბურუსიან საღამოს, ერთ იმ ინგლისის ნოემბრის საღამოს, როდესაც ასე ჰგონია ადამიანს, მზე სასოწარკვეთილებისა და თავისის უძლურების შეგნებისაგან, რომ გაჰფანტოს ჯანღი, კდემა-მოსილი იმალებაო,—რამდენიმე, სამუშაოს შოვნაზედ იმედ-გადაწყვეტილი და ჯიბე გამოფხეკილი ფეიქარი შეკრებილიყვნენ ერთად იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, რა მოეგვარებინათ? ბოლოს ფეიქართ, დიდის თათბირის შემდეგ, გაბედვით გადასწყვიტეს მოვაჭრე-ფულანდარმექარხნენი თვით გამხდარიყვნენ. იმ ხანად იმათ ცოდნა, გამოცდილება ან რაიმე ქონებრივი ღონის ძიება არა მოეძებნებოდათ-რა. ხელის მოსაწერი ფურცელი ჩამოატარეს. თითონ-კი თავს იდეს ყოველ კვირა ორ-ორი პენსი ანუ თითო შაური შეეტანათ, თუმცა ეს როჩდეილელი როტშილდები დაბეჯითებით ვერ იტყოდნენ მოახერხებდნენ თუ არა ამ ფულის შეტანას“. ასე სწერს „ინგლისის კოოპერატიულ მოძრაობის ისტორიის“ ავტორი. ორმოცდა თორმეტის კვირის შემდეგ ამხანაგობას იმდენი ფული ვერ ეშოვნა, რომ ერთი ტომარა ქერის ფქვილი ეყიდნათ. ცამეტის წლის შემდეგ-კი ყოველ წლივ 76 ათას გირ. სტ. იღებდნენ. ეხლა როჩდეილელ საწყობის განყოფილებანი ობობას ქსელივით არის მოდებული მთელის ინგლისის დაბა-ქალაქ-სოფლებში. ამხანაგობამ თავისი მოქმედება როჩდეილში 1844 წლის დეკემბერში დაიწყო: „მოვაჭრეთა შორის გავარდა ხმა,—ამბობს ისტორიკოსი ამ ამხანაგობისა: ამ საღამოს ჩვენი მეტოქე მოქმედებას იწყებსო, რის გამოც ცნობის მოყვარენი ბლომად შეკრებილიყვნენ. მეტოქე-კი სირცხვილით ვერ გამოჩენილიყო. დამფუძნებელთა შორის გაცხარებული სჯა-ბაასი იყო ატეხილი, აცა რომელი გაჰბედავდა დარაბების პირველად ჩამოღებას. „ბოლოს ასეთი გულადიც აღმოჩნდა, ჩამოიღეს დარაბები და ქუჩის ბიჭბუჭებისა და მედუქნეთა სახარხაროდ ფანჯრებიდგან ერთი ბეწვა ქერის ფქვილი, შაქარი და ჩაი გამოიჭვრიტებოდა“. პირველად დუქანს შაბათსა და ორშაბათ საღამოობით აღებდნენ. ერთი წევრი დამფუძნებელი ნოქრობასა სწევდა, მეორე მდივნობასა, მესამეს კასსირობა ჰქონდა ჩაბარებული და ყოველ კვირეულ შემოსავალ-გასავალს დავთარში სწერდა, მეოთხე ხაზინადრის საპატიო წოდებას ატარებდა, რომლის უწყებაში იყო ამხანაგობის მთელი თანხა 28 გირ. სტ. დანარჩენ 24 დამფუძნებელთაც სხვა-და-სხვა გვარი თანამდებობა ჰქონდათ განაწილებული. დამფუძნებელთა შორის ყველაზედ შესანიშნავნი ვილიამ კუპერი და ჩარლზ ჰოვარტი იყვნენ, რომელთაც შეადგინეს ამხანაგობის წესდება.

ფულების შესაძენადა და მედუქნეთა გაბოროტებულ საწინააღმდეგო მოქმედების ასაცილებლად როჩდეილელ ამხანაგობამ სავაჭრო საქონლის გაყიდვა არსებულ მაზანდის კვალობაზედ დაიწყო და მხოლოდ იმის მეცადინეობაში იყვნენ, სავაჭრო საქონელი კარგის ღირსებისა ყოფილიყო. ამ გვარ მეცადინეობით მოგება გაიზარდა და ეს მოგება, შემდეგ წლიდგანვე, მყიდველ მუშტართ გაუნაწილეს ნავაჭრის კვალობაზედ. ეს განაწილების მარტივი წესი აქამომდე უცვლელად არსებობს. თითოეულ მუშტარს, რომელიც კი რასმეს ივაჭრებს ამხანაგობის დუქანში, თუჯის მარკა ეძლევა, რომელზედაც ინიშნება ნავაჭრ საქონლის ღირებულობა. დაწესებულს ვადაზედ მყიდველნი ამ მარკებს გამგეობას წარუდგენენ და თავისს წილ-მოგებას იღებენ. ვისაც ამხანაგობის წევრობა ჰსურს, საჭიროა ერთი შილლინგი (32 კ.) საწევრო ფული შეიტანოს. ეხლა წესად შემოუღიათ, წევრს იმ დრომდე არ მიეცეს მოგება, ვიდრე ამ მოგების ფულით ხუთის პაის ყიდვა მაინც არ შეეძლებოდეს. შემდეგ კი თავისს პაიზედ წევრი ხვედრ მოგებას იღებს. როჩდეილელ დამფუძნებელთ თავიდგანვე წესდებაში შეიტანეს: რამდენიც მყიდველნი, იმდენი ხმის მქონენი; ერთ კაცს მხოლოდ ერთი ხმა უნდა ჰქონდეს. იმ წევრთ, რომელნიც იმდენად გულ-გრილად ეკიდებიან საზოგადო საქმეს, რომ კრებაზედ დასწრებაც-კი არა ჰსურთ, არ შეუძლიანთ თავიანთი უფლება სხვას გადასცენ. მანდილოსანნიც ყოველგვარ თანასწორ უფლებით სარგებლობენ მამაკაცებთაგან და შეუძლიანთ გასწიონ როგორც ნოქრობა, ისე გამგეობის წევრობა. ვნახოთ იმათ ამხანაგობას რა შედეგი მოჰყვა.

1844 წელს, როჩდეილელმა ამხანაგობამ თავისი მოქმედება 28 გირ. სტ. თანხით დაიწყო. მოგება არა ჰქონდათ რა. მეორე წელს ამხანაგობაში 1747 წევრი ითვლებოდა, ძირის თანხა-კი 181 გირ. სტ. უდრიდა, სატრიალებელი თანხა 170 გირ. სტ., მოგება 22 გირ. სტ. დარჩათ. ამ ამხანაგობიდგან მომეტებული ნაწილი „სწავლა-განათლეთის გასავრცელებელ თანხისათვის“ გადასდეს. 1876 წელს წევრთა რიცხვი 8892 იყო, ამხანაგობას თანხა 254,000 გირ. უდრიდა, მოგება კი 50,500 გ. შეადგენდა. 1887 წელს ამ როჩდეილის ამხანაგობას ერთს განყოფილებას 23 ათასი წევრი ჰყავდა და 59 ათასი გირვანქა სტ. მოგება ჰქონდა. ერთ ამ დროინდელ, ე. ი. 1887წ., დრო გამოშვებითს გამოცემაში შემდეგს ვკითხულობთ: „წარმოიდგინეთ მდიდარი კაცი, რომელიც თავისს მუშებს ყოველს წელს საჩუქრად 90 ათას გირ. სტ. ურიგებს, დამერწმუნებით, ყველა მუშის ფანჯარაში იმისი სურათი იქნებოდა გამოკიდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტკბებოდნენ ქართულის გალობითა და ლოცვით. სწორედ ამ დროს იყვნენ ისეთნი მღვდელნი, ისეთნი მამანი, რომელნიც მხურვალებით სწირავდნენ თავიანთ თავს ხალხის კეთილ-დღეობისათვის; ეს მამანი დადიოდნენ სოფლებში, ამშვენიერებდნენ ძველს ეკკლესიებს, ჰქადაგებდნენ, ასწავლიდნენ ხალხს ღვთის სიტყვას და სცდილობდნენ დაენერგათ ხალხის გულში სამშობლოს და მოძმის სიყვარული; ეტანებოდნენ მკურნალობას და თავიანთის რჩევით, თავიანთის დარიგებით ჰშველოდნენ ყველა გაჭირვებულს. დიაღ, ამ დროს, ამ სანატრელ ჟამს გაისმოდა ეკკლესიებში ქართული გალობა, ქართული წირვა. იყო ეს დრო, მაგრამ განჰქრა! აწ აღარ არსებობს იგი ჩვენთვის. იქ, სადაც გაისმოდა ქართული გალობა, იქ, სადაც ჩვენი მამანი აღტაცებით ისმენდნენ და ავედრებდნენ ღმერთს სამშობლო ენაზედ, იქ დღეს ისმის სომხური ალილუია. რისთვის? რატომ არა გვაქვს საკუთარს ენაზედ წირვა-ლოცვა? რად უნდა იყოს ჩვენ ეკკლესიაში სომხური ენა, როდესაც საკუთარი ენა ჩვენცა გვაქვს".

აი, ამის შესახებ რას ამბობენ სომხები: თქვენ სომხის შთამომავლობისა და სომხები ხართო! ქართველებს ძალით გვასომხებენ! ქართველის შვილი, ქართველად დაბადებული, სომეხიაო, გაიძახიან. გვიპასუხონ ერთი:

რა მიგვიგავს სომხებს? ან რა გვცხია იმათი? ტუჩი, თუ ცხვირი? ზნე, თუ ჩვეულება? ენა, თუ წესი?

ვისურვებ, რომ ჩვენს სამღვდელოებას აღედგინოს ძველი წესი და იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რომ ჩვენც მოგვცენ ნება დავტკბეთ საკუთარს სამშობლო ენაზედ გარდახდილის წირვა-ლოცვით.

ქართველი-კათოლიკე ია. დათებაშვილი

ქართულის ენის მდგომარეობა საერო პირველ-დაწყებითს სკოლებში.

როგორც ვიცით, „სამოსწავლო გეგმა", შედგენილი კავკასიის პირველ-დაწყებით სკოლებისათვის 1880 წ., გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მის წინა ხანებში ქ. ქუთაისში შესდგა მასწავლებელთა კრება, რომელმაც დაადგინა: საერო პირველ-დაწყებითს სკოლებში ყველა საგნის სწავლება პირველს ორს წელს ქართულ ენაზედ სწარმოებდეს, ხოლო მესამე წელიწადს, როცა ბავშვები თავის დედაენაზედ მცირეოდენად განვითარდებიან, რუსულის ენის შესწავლა უნდა დაიწყოსო... „სამოსწავლო გეგმამ" ეს დადგენილება უარ-ჰყო და განმარტა, რომ ადგილობრივი ენები (რასაკვირველია, ქართულიც) ისწავლებოდნენ მხოლოდ პირველ წელიწადს, ხოლო შემდეგს წლებში რუსულის ენის შესწავლას უნდა ეხმარებოდნენო. ეს გეგმა აუცილებელ კანონად გარდაიქცა. ასე მიდიოდა ქართულის ენის სწავლება პირველ-დაწყებით სკოლებში თითქმის ათ წლამდე (მე სახეში უფრო ტფილისის გუბერნია მაქვს). შემდეგ ტფილისის საერო სასწავლებლის დირექტორმა ცირკულიარით აცნობა პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებელთ შემდეგი: ,,სამოსწავლო გეგმა‘‘ თხოულობს, რომ მესამე განყოფილებაში ყველა საგნის სწავლება უმეტეს ნაწილად რუსულ ენაზედ სწარმოებდესო. მაგრამ პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ რუსულის ენის შესწავლა დაიწყება ტოტა ხნის შემდეგ, რაკი მოსწავლე ფეხს შესდგამს სასწავლებელში. ამის გამო ვთხოვ ყველა მასწავლებელს ლექსიკური სწავლება რუსულის ენისა დაიწყოს ორის კვირის შემდეგ ბავშვის მისვლისა სასწავლებელში (ე. ი. ენკენისთვის ნახევარში, ან ღვინობისთვის პირველში) და შეასწავლოს უფრო ის სიტყვები და ფრაზები, რომლებსაც მასწავლებელი ყოველ დღე ჰხმარობს კლასში, რომ ამით მალე შეეძლოს ყველა ბავშვებთან რუსული საუბარი. ხოლო რუსულის ანბანის შესწავლა დაიწყოს იმ წამს, როგორც-კი დედა-ენის ანბანს გაათავებსო" (დაახლოვებით პირველის წლის მეორე ნახევრის დამდეგში). (იხ. Цир. Дир. нар. уч. Тиф. губ. 5 февраля 1891 г. № 360).

გაიარა ორმა წელიწადმა და იმავე დირექტორმა კვლავ დაურიგა ცირკულიარი პირველ დაწყებით სასწავლებლებს, რომელშიაც სწერია: „რომ უფრო გაძლიერდეს რუსულის ენის სწავლება პირველ-დაწყებითს სკოლებში, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბრძანების თანახმად უმორჩილესად ვთხოვ ყველა სკოლების მმართველთ, რომ ყოველივე, რაც ადგილობრივ ენებზედ ისწავლება, თარგმნილ იყოს მოსწავლეთა მიერვე რუსულად მეორე განყოფილებიდგან დაწყობილი. ეს თარგმანები მასწავლებელმა უნდა შეიტანოს ცალკე ამისთვის შეკერილს რვეულში ყოველ დღე ყოველი გაკვეთილი ცალკე (იხ. Цирк. Дир. нар. уч. Тиф. губ. 9 ноября 1893 г. № 1960.).

წელს დაურიგდა საერო პირველ-დაწყებით სკოლებს პროგრამა, დამტკიცებული საერო განათლების მინისტრისაგან, მაშასადამე სავალდებულო მთელის იმპერიის საერო პირველ-დაწყებით სასწავლებლებისათვის. პროგრამაში გასაჭირი არაფერია იმ სკოლებისათვის, სადაც მარტო რუსები იქნებიან მოსწავლეებად, ხოლო ჩვენთვის ის არის ძნელი, რომ იქ სხვა ტომთა ენისა თითქმის ხსენებაც არ არის. გაკვეთილების განაწილების ცხრილში კვირაში სამი საათი რუსულ საეკკლესიო ანბანისა და კითხვის შესწავლასა აქვს დათმობილი. აი, ეს სამი გაკვეთილი ადგილობრივ სამოსწავლო მთავრობას **РОДНОЙ ЯЗЫКЪ** ად გადაუსწორებია და ამ სახით დღეს კვირაში თითო გაკვეთილი ხვდება ქართულ ენას. შემდეგში რა იქნება, ის ღმერთმა იცის!..

ფშაველიშვილი

რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც ნათქვამი გვქონდა, განზრახვა აქვს ცვლილება შემოიღოს ქალაქების წოდებათა შორის. ეს ცვლილებანი შეეხება თურმე იმას, რომ ქალაქის ყველა წოდება შეერთებულ იქმნება ერთად, მოქალაქეთა სახელდებით, და ამ წოდების მართვა-გამგეობა მიენდობა ქალაქის თვით-მმართველობას. ხელოსანთ ნება ექმნებათ სახელოსნო საზოგადოება დააარსონ და ამქრებად დაიყონ. საზოგადოებას ისეთივე ხასიათი უნდა მიეცეს, როგორიცა აქვთ უკვე არსებულ სამკურნალო, საინჟინერო და სხვა სპეციალ საზოგადოებათ და მან უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს ხელოსნობის საქმის განკარგება-განვითარებას. ამ აზრით ნება მიეცემათ ამა თუ იმ თანხის დასაარსებლად გარდასახადი შემოიღონ. საზოგადოებასა და ამქარში შესვლა მსურველთა ნება-ყოფლობაზედ იქმნება დამოკიდებული.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილებამ ამ დღეებში იმ კანონების მაჩვენებელი გამოსცა, რომლებიც გლეხთა ყოფა მდგომარეობას შეეხება. მაჩვენებელში ქრონოლოგიურად არის დალაგებული უმაღლესი ბრძანებანი, სხვათა შორის მოხსენებულია დებულებანი კომიტეტთა: კავკასიისა, ციმბირისა და სხვა განკარგულებანი 1858—1896 წლებისა.

— მოსკოვის ერთს დამხმარებელ საზოგადოებას განზრახვა აქვს სამკურნალო დააარსოს ქ. მოსკოვში კალლოს მიერ გამოგონილ საშუალებით კუზიანთა საწამლებლად.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნებართვა მიეცა შეიძინოს ხაზინის სასარგებლოდ კერძო მემამულეთაგან ის მამულები, რომლებიც სახელმწიფო მამულისა და ან საგარაკო ტყის შუა არის მოქცეული, თუ მამულის ღირებულობა 5,000 მან. არ აღემატება.

— ფინანსთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საზღვარ გარეთიდგან წისქვილების გასამართავად საჭირო მანქანებისა და იარაღების შემოტანისათვის იმაზედ ცოტა გარდახდეთ, ვიდრე დღემდის იხდიდნენო.

— სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტთან განზრახვა აქვთ განსაკუთრებული კომისია დააარსონ, რომელმაც ცვლილებანი უნდა შეიტანოს იმ კანონდებულებაში, რომლითაც სპარსეთში ყოველგვარ ტყის მასალის გატანა აღკრძალულია.

— შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ მომრიგებელ მოსამართლეების საქმეთა გამგეთ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი მიეცეთო.

— განზრახვა აქვთ 50 და 500 მან. ღირსების საკრედიტო ბილეთები მომავალ წლის თებერვალში გამოსცენ. ამავე დროს იქნება შემოღებული ათ თუმნიანები იმპერატორის პეტრე I სურათით.

უცხოეთი

ავსტრია. რამდენს არა სცდილობს, რამდენს არა სწვალობს ავსტრიის ახალი მინისტრ-პრეზიდენტი, ბარონი გაუჩი, მაგრამ ნემეცებისა და ჩეხების შერიგება მაინც ვერ მოახერხა. როდესაც პირველად ბარონ გაუჩმა მინისტრ პრეზიდენტობა იკისრა, იმედი ჰქონდა ნემეცთა და ჩეხებს შევარიგებ და პარლამენტის საქმეებს წესიერს მსვლელობას მივცემო, მაგრამ ორის კვირის მეცადინეობამ და დასთა მეთაურებთან მოლაპარაკებამ ამაოდ ჩაუარა. ნემეცები თავისას არ იშლიან და უწინდელს ბატონობას თხოულობენ. იმათ მანამდე არ უნდათ შეურიგდნენ ჩეხებს, ვიდრე ბადენის განკარგულება ჩეხთა ენის შესახებ არ იქმნება გაუქმე-

---

და ყოველს საზოგადო სასეირო ადგილს იმისი ქანდაკებანი დაამშვენებდნენ, თუნდაც იგი ყველასაგან უუგუნურეს არსებად ყოფილიყო ცნობილი. უფრო მეტად პატივსადები არ არის ის, რომ მუშა-გლეხკაცს თვით შეუძლიან ეს ფულები თავისს თავს უძღვნას და ამ ქველმოქმედებისათვის არავისთან მოუხდეს მადლობის გადახდა"? „აგრეთვე, როგორც ქალაქში აბანოს დაარსება სისუფთავე-სიფაქიზის შეგნების მაჩვენებელია,—განაგრძობს მეორე ადგილას ესევე ავტორი,—აგრეთვე როჩდეილულ ჯურის საამხანაგო დუქნის დაარსება სამრეწველო ზნეობის შეგნებასა ჰმოწმობს და გვასწავის ჩვენ, რომ მუშათა შორის შეკავშირების გრძნობას გაუღვიძნია".

რას ეძახის ავტორი „სამრეწველო ზნეობას"? აი, იგი ამის შესახებ რას ამბობს: „ყველა ამხანაგობის დუქნიდგან მოვალენი არიან კარგის ღირსების საქონელი გაჰყიდონ და არა უვარგისი და წამხდარი სავაჭრო საქონელი. თუ გამყიდველმა იცის გასასყიდ საქონლის უვარგისობა, იგი მოვალეა მყიდველი წინდაწინვე გააფრთხილოს. ამ სახით ამხანაგობის საწყობის დაარსება სამრეწველო ზნეობის ამაღლებას ჰნიშნავს. ბოლოს ყველა ამხანაგობანი უნდა შეერთდნენ და ერთი უშველებელი მწარმოებელი ამხანაგობა დააარსონ კეთილის ღირსების სავაჭრო საქონლის დასამზადებლად. მაგრამ კარგის ღირსების სავაჭრო საქონლის გამყიდველს მუშტარიც ბლომად უნდა ჰყავდეს და ისეთი მუშტარი, რომელიც ფასს-კი არ დაეძებს, საქონლის ღირსებას აქცევს უმთავრესს ყურადღებას. დაბალი, იაფი ნამოქმედარი ჰნიშნავს მოტყუებას, მუშა ხალხის ზნეობრივად გახრწნას, როგორც ცხოვრებაში ტყუილის ლაპარაკი სრულს ზნეობრივ დაქვეითებასა ჰმოწმობს. დაბალი ფასები, მომეტებულ ნაწილად, დაბალი სამუშაო ფასის მაჩვენებელია. ყოველ იაფ საქონელზედ შიმშილის, სიღარიბის, სიკვდილის ბეჭედი აზის". მაგრამ ციფრებს დავუბრუნდეთ, სტატისტიკამ აჩვენა, რომ ინგლისში თითოეული ოთხი ათასი ოჯახი მუშა ხალხისა თავისის გამოფხეკილის ქისიდგან ყოველს წელს მედუქნეებს 10-ათას გირვანქა სტ. მოგებას აძლევს. როჩდეილისებური ამხანაგობანი-კი ამ ფულს მყიდველებსავე უბრუნებენ. შარშან ინგლისში ამ რიგად, მუშათ 50 მილიონი მანეთი მიიღეს უკანვე. ამ ნაირ ამხანაგობათა რიცხვი შარშან 1453 იყო, რომელთაც 1,378,036 წევრი ჰყავდათ. თანხა 16,367,319 გ. ს. შეადგენდა; 36,942,030 გ. სტ. სავაჭრო საქონელი გაჰყიდეს. მოგების რაოდენობა ზემოდ იყო აღნიშნული. ამხანაგობანი მომეტებულ ნაწილს თავისის მოგებისას ,,სწავლა-განათლების საქმეს‘‘ აძლევენ. ყველა შევიწროვებულ-დავრდომილიც შველა-დახმარებას ჰპოულობს დაუბრკოლებლივ.

* * *

1862 წლიდგან მწარმოებელი ამხანაგობანიც არსდება ინგლისში, თუმცა პირველ ხანად იმათი საქმეც კუს ნაბიჯით მიდიოდა, მაგრამ თანდათან სახალხო განათლების გავრცელებით, სახალხო ლიტერატურის აღორძინება-გაძლიერებით, რომელიც დაბალ წოდებას გულ-გონებაში სპეტაკ იდეალებს უნერგავდა და საზოგადო სარგებლობას შეგნებას უღვიძებდა, ამ ამხანაგობათაც ფეხი მოიკიდეს, დონეზედ დადგნენ. 1880 წელს ინგლისში კოოპერატიულ მოძრაობის მამათ-მთავრის, ოფენის მართლ-მორწმუნე მოწაფის გალიოკის მეთაურობით ,,კავშირი‘‘ დაარსდა. ,,კავშირის საგანი: 1) დასტამბული სიტყვის შემწეობით, ლიტერატურის გავრცელებით, ლექციების კითხვით და სხ. ხალხს ამხანაგობათა დაარსების სარგებლობა გააცნოს; 2) ამხანაგობათა შეკავშირებას ხელი შეუწყოს; 3) ამხანაგობა კავშირთა შესახებ ცნობები შეჰკრიბოს და გაავრცელოს." ეხლა „კავშირი" 300 წევრისგან შესდგება და 45 ამხანაგობისაგან, რომელთაც თავის მხრივ 12 ათასი წევრი ჰყავთ. შარშან „კავშირმა" ინგლისის ყველა კუთხეში 250 მეტი სახალხო ლექცია წაიკითხა და 50 წიგნაკი გამოსცა. „კავშირს" თავისი საკუთარი ჟურნალი აქვს. ეხლა მუშათათვის საერთო სახლებს აშენებს. წევრთა და მათ შვილთა განათლებისა და მათ ზნეობრივ წარმატებისათვის აარსებენ სამკითხველოებს, საპოლიტიკო სალიტერატურო კლუბებს, მგალობელთა გუნდებს და სხ. მაგრამ მომეტებული განვითარება ამხანაგობის წევრთ მაშინ დაეტყოთ, როდესაც ისინი სახალხო უნივერსიტეტის გამმართველთ დაუახლოვდნენ და ხელი ხელს მისცეს საერთო აზრის ასასრულებლად და წევრთა შორის იმ იდეალების გასავრცელებლად, ურომლოდაც ვერ იბოგინებს როგორც წესიერი კაცობრივი საზოგადოება, ისე გონივრული ბედნიერება.

* * *

სახალხო უნივერსიტეტებსა და კერძო ლექციებს გარდა ამხანაგობის წევრთა განათლებას „თვით განვითარების წრეები" დიდს შემწეობას აძლევს, ნამეტნავად მიყრუებულ დაბა-სოფლებში. თვით-განვითარების გასაძლიერებლად ინგლისის ლიტერატურაში ბევრი მშვენივრად, სახალხოდ შედგენილი წიგნი მოიძებნება მთავრობისა, კანონ მდებლობისა, ადგილობრივ თვით მართველობისა, ინგლისელის უფლება-მოვალეობისა, ამორჩევის უფლებისა, მიწად-მოქმედებისა და სხ. შესახებ. აი, ამისთანა წიგნებით სარგებლობენ წრეები. წრის წევრნი მუშაობის შემდეგ საღამოზედ კლუბში (ურომლოდაც არც ერთი ინგლისელი არ დადგება) იკრიკებიან და ზემორე მოყვანილ შინაარსის წიგნებს კითხულობენ გულ-დასმით. თუ რომელსამე წაკითხული ადგილი წიგნისა არ მოსწონს, ან რომელსამე მუხლის შესახებ კამათის აღძვრა სურს, წამკითხველს წითელის კარანდაშით დაანიშნებს და ბოლოს, როდესაც კითხვა სრულებით თავდება, ხელ მეორედ დანიშნულ ადგილებს ათვალიერებენ და სჯა-კამათს მოჰყვებიან...

ე. მ—შვილი

ბული, ე. ი. ვიდრე ნემეცები ისეთივე ბატონები არ გახდებიან და ჩეხები ისეთვე ყმები, როგორნიც წინად იყვნენ. უკანასკნელს მოლაპარაკების დროს ნემეცთა დასის წარმომადგენელთ ბარონმა გაუჩმა შემდეგი წინადადება წარუდგინა. ბოგემია სამად განაწილდეს; პირველ ნაწილში, სადაც ნემეცები არიან დასახლებულნი, ოფიციალურ ენად ნემეცური ენა იქმნება, მეორეში, სადაც ჩეხები არიან,—ჩეხური, ხოლო მესამეში, სადაც ნემეცებიც არიან და ჩეხებიც,—ორივე ენა, ე. ი. ნემეცური და ჩეხური. ამ უკანასკნელს პროვინციებში მოხელეებმა ორივე ენა უნდა იცოდნენ და ყველა საქმეები ორსავე ენაზედ უნდა აწარმოვონ. აი, ეს წინადადება წარუდგინა გაუჩმა ნემეცთა დასის წარმომადგენლებს, მაგრამ მათ უარჰყვეს იგი და ისევ ის განაცხადეს, რასაც წინად აცხადებდნენ, ე. ი. ვიდრე ჩეხთა ენის უფლებანი შეზღუდული არ იქმნება, მანამდე ჩვენ არავის არ შევურიგდებითო. ამის შემდეგ მორიგების საქმე მიყუჩდა და გაუჩმა ჯერ-ჯერობით მოლაპარაკება შეაჩერა.

—

კრიტი. პარიჟიდგან სწერენ ვენის ოფიციალურ გაზეთ „Polit. Correspondent"-ს, ევროპის ყველა სახელმწიფოებმა თანხმობა განაცხადეს, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად ჩერნოგორიის მთავრის ბიძაშვილი ბოჟიდარ ნეგუშა იქმნას დანიშნული. ინგლისიც-კი, რომელმაც პირველად ბოჟიდარ ნეგუშას კანდიდატურას ეჭვის თვალით შეჰხედა, ეხლა მზად არის თანხმობა განაცხადოს და სხვა სახელმწიფოებს მხარი დაუჭიროს. რაც შეეხება ოსმალეთის სულთანს, ჰფიქრობენ, რომ ის ყველა სახელმწიფოთა საერთო სურვილს წინ არ აღუდგება და თანხმობას განაცხადებსო. ამავე დროს კრიტიდგან ამბავი მოვიდა, რომ წარსულ ოთხშაბათს მეამბოხენი კისსამოს სიმაგრეს დაეცნენ და თოფის სროლა დაუწყეს. ოსმალეთის მეციხოვნეთ მაშინვე პასუხი გასცეს. გარდა ამისა კანდიის მახლობლად ათასზედ მეტი მეამბოხე სოფელ პერივოლაკის შეესივნენ და ძარცვა გლეჯას მიჰყვეს ხელი. საერთოდ კუნძულ კრიტში ისეთივე არეულობა და უწესოებაა, როგორიც წინად იყო".

ნაკვესი

— ბატონო, სისხლი გამოვუშვი ხეზედ ჩამომრჩვალს, მაგრამ სასიცოცხლო არა დაეტყოარა.

— გვამი სად არის?

— იქვე ჰკიდია.

— როგორ! ჰკიდიაო?! ჯერ არ ჩამოგიხსნიათ?

— არა, ვერ გავბედეთ უთქვენოდ. თქვენ მარტო ის მიბრძანეთ, რომ სისხლი გამოუშვითო.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ერთს გაზეთში დაბეჭდილი იყო საყურადღებო ცნობა ერთის 140 წლის მოხუცის შესახებ. ასეთი ამბავი ეხლა ძლიერ იშვიათია. რაც უნდა უბედური იყოს ადამიანი, მაინც უყვარს სიცოცხლე და ყოველ ჟამს ეშინიან სიკვდილისა. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ კაცი დიდს ყურადღებას აქცევს ხოლმე ადამიანის ხანგრძლივს სიცოცხლეს. ამიტომ ზოგიერთს საყურადღებო ცნობას აღვნიშნავთ.

1245 წელს ძლიერ ბევრს ლაპარაკობდნენ ერთის საკვირველის კაცის შესახებ, რომელმაც რაღაც საიდუმლო წამალი იცოდა, რომლის შემწეობით რამდენიმე საუკუნე იცოცხლა. ამ საკვირველის კაცის შესახებ როჯერ ბეკონი სწერდა: არა მგონია, რომ ეს კაცი 300 წლისაზე მეტი იყოსო. როჯერ ბეკონი-კი ისეთი კაცი იყო, რომ სიტყვა დაეჯერებოდა. 1613 წელს ტურინში სცხოვრობდა ერთი კაცი, სახელად გოა, 400 წლისა, რომელიც ძლიერ ჯან-საღი იყო თურმე. ერთს შოტლანდიელს, გვარად კრენს 200 წელზედ მეტი უცოცხლია. ერთის გერმანიელის, პოლონიუსის შესახებ ამბობდნენ, რომ 500 წლამდე იცოცხლაო და ერთმა პორტუგალელმა 300 წლამდე. ბევრი მაგალითია აგრეთვე ხანგრძლივის სიცოცხლისა დაბადებაში. ისტორიკოსი სტრაბონი სწერს, რომ ფენჯაფის მცხოვრებნი 200 წლამდე სცოცხლობდნენო. ეპამინოდ კრიტელმა 300 წელი იცოცხლა. იმპერატორის ვესპასიანის დროს იტალიაში აღწერეს მცხოვრებთა რიცხვი და 170 კაცი აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ასის წლისაზედ მეტი ყოფილა. ამათში სულ უფროსი 150 წლისა აღმოჩენილა.

უფრო მეტად ხშირი ყოფილა ხანგრძლივი სიცოცხლე წმიდათა შორის. წმ. სიმონი რომ აწამეს, 107 წლისა იყო, წმ. ნარცისი 165 წლისა გარდაიცვალა; წმ. ანტონი 105 წლისა. ათონის ბერებს შორის ეხლაც ბევრია 150 წლის მოხუცი. მეცნიერნი ამტკიცებენ, რომ კაცს, საზოგადოდ, დიდის ხნის სიცოცხლე უნდა ჰქონდესო. აგებულების მიხედვით. მეცნიერი გელლერი ამტკიცებს, რომ ადამიანს 90—95 წლის სიცოცხლე კი არ უნდა ჰქონდესო, როგორც აქამდე ეგონათ, არამედ 200 წლამდე უნდა იცოცხლოსო. საყურადღებო ამბავია ერთის შოტლანდიელის გრაფის ტომას პარისა. ეს გრაფი ბედნიერადა სცხოვრობდა თავისს კოშკში, ბრონის საგრაფოში და იყო 169 წლისა. ამბავი მისის ხანგრძლივის სიცოცხლისა შეიტყო ინგლისის მეფემ კარლოს მეხუთემ და მოისურვა ამ კაცის ნახვა. პარი მიიწვიეს სასახლეში და მშვენიერი სადილი აჭამეს. მოხუცმა მეორე დღესვე სული განუტევა. სახელოვანმა მკურნალმა გერვემ გასჭრა მისი გვამი და დარწმუნდა, რომ პარი სიკვდილამდე მეტად ჯას-საღი ყოფილა და კიდევ დიდ-ხანს იცოცხლებდა, რომ სასახლეში არ მიეწვიათ და ძლიერ არ გამაძღარიყო.

პროფესორი ვეისმანიც ამტკიცებს, ადამიანის აგებულება ისეთია, რომ კაცმა დიდხანს უნდა იცოცხლოს, თუ გარემოება და კარგი ცხოვრება ხელს შეუწყობსო. ხანგრძლივის სიცოცხლის მაგალითების ჩამოთვლით მკითხველს თავს არ მოვაწყენთ და მოვახსენებთ მხოლოდ, რომ მეცნიერები ამტკიცებენ, თუ კაცმა 80 წლამდე მიაღწია, მერე იმედი უნდა ჰქონდეს, რომ კიდევ დიდ-ხანს იცოცხლებს. 80 წლის შემდეგ ადამიანი თითქოს ხელ-ახლავ იწყებს სიცოცხლეს. მკურნალი ბლონდენი ამბობს, ბევრი 80 წლის მოხუცი მინახავს, რომელთაც მესამედ ამოსვლიათ კბილებიო. მკურნალი გრავე ამბობს, რომ ერთის 110 წლის კაცს სულ ახალი კბილები ამოუვიდაო და სულ გათეთრებული თმა გაუშავდაო. ისეთი მაგალითიც ყოფილა, რომ 80—90 წლის კაცებს, რომელთაც თვალის ჩინი ჰკლებიათ, ამ წლოვანების შემდეგ ისევ დაბრუნებია თვალის ჩინი და ისევ ისე კარგადა ჰხედავდნენ, როგორც ახალგაზდობის დროს.

რაც შეეხება გონებას, მრავალს ძლიერ მოხუცებულს კაცს შეჰრჩენია სიბერემდე მშვენიერი გონება. ამისი მაგალითი ბევრია: არქიმედი, ეპიმენიდი, თეოკრატოსი, სოლონი, ზენონი, პითაგორი, დიოგენი, დემოკრატი, პლატონი, კატონი და მრავალნი სხვა მეცნიერნი და ფილოსოფოსნი, 80—90 წლისანი რომ იყვნენ, თავიანთ თანამედროვეთ აკვირვებდნენ საღის ჭკუითა და გონებით. მეცნიერი ალექსანდრე ჰუმბოლდი რომ 90 წლისა იყო, ყველას უკვირდა მისი საღი ჭკუა და გონება. გლადსტონი ამ ჟამად 88 წლისაა, ბისმარკი 82 წლისაა, მაგრამ გონებით მრავალს ახალგაზდა კაცს აჯობებენ. საფრანგეთის ინსტიტუტში ამ ჟამად ერთი 90 წლის კაცი ითვლება, 21—86 წლისა და 69—სამოცდა ათის წლისა, მაგრამ მრავალი მათგანი სრულიად საღის ჭკუისა და გონებისაა და კვლავ მხნედ მეცადინობენ და ემსახურებიან მეცნიერებას.

სასამართლოს მატიანე

სხვისის მამულის დაგირავება სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში.

14 მარტს 1895 წ. ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის გამგეობამ ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს შეატყობინა, რომ 1892 წ. მოქალაქეთ არშაკ და ბაგრატ თუმანიანცებმა ბანკს წარმოუდგინეს 3,500 მანეთში გრძელ-ვადიანის სესხით დასაგირავებლად უძრავი ქონება, მამული, რომელიც ტფილისის მე-6 ნაწილშია, განაცხადეს, ეს მამული ჩვენი საკუთრებააო და ნამდვილად კი, როგორც აღმოჩნდა, ამ ქონების $^{1}/_{7}$ იმათის დედინაცვლის ანნა თუმანიანცისა ყოფილა, რომელსაც თანხმობა არ გამოუცხადებია იმისს დაგირავებაზედ და ამ ნაირად არშაკ და ბაგრატ თუმანიანცებმა დააგირავეს თავიანთ ქონებასთან ერთად სხვისი საკუთრებაცაო.

სამართალში მიცემულთ არშაკ და ბაგრატ თუმანიანცებმა თავისი თავი არ იცნეს დამნაშავეებად და სთქვეს, რომ როცა მამულს ვაგირავებდით, არ ვიცოდით, თუ ერთი ნაწილი ჩვენს დედინაცვალს ანნა თუმანიანცს ეკუთვნოდაო.

ამის გამო განხილულ იქმნა საჩივარი ანნა თუმანიანცისა, რომელსაც ეჩივლა ბრალდებულებზედ და $^{1}/_{7}$ ნაწილს მამულისას ედავებოდა. აღმოჩნდა, რომ ამ სამოქალაქო საქმის განხილვის დროს არშაკ და ბაგრატ თუმანიანცებმა აღიარეს თურმე,—მამულის დაგირავებამდე ვიცოდით, რომ $^{1}/_{7}$ მამულისა მომჩივანს, ჩვენს დედინაცვალს ეკუთვნოდაო და რომ იგი ამ ნაწილის მფლობელობაშიაც იყო შესული დადგენილის წესითაო.

ოლქის სასამართლომ, განიხილა რა ეს საქმე 4 დეკემბერს, ორივე ბრალდებული დამნაშავედ იცნო და დაადგინა: ჩამოერთვათ ყოველივე ღირსება და უპირატესობა და თითოეული წლითა და 4 თვით ზნე-ხასიათის გამასწორებელ პატიმართა განყოფილებაში იქმნენ გაგზავნილნიო. ბრალდებულნი დაპატიმრებულ იქმნენ და გაგზავნილ მეტეხის საპატიმროში.

გამოსადეგი ცნობა

—

ძლიერ ადვილი ყოფილა იმის გამოცნობა, ბამბა-ნარევი არის ტილო თუ არა. აიღეთ მხოლოდ გამოსაცდელ ტილოს ერთი მშრალი ნაჭერი, დაასველეთ ზეთში და მერე ძალიან გასწურეთ. ტილოს ძაფი ზეთისაგან მჭვირვალე გახდება, თითქო სინათლე გადისო. ხოლო ბამბის ძაფი-კი ისევ თეთრი დარჩება. ამ გვარად, შეიძლება დაითვალოს კიდეც, გამოსაცდელ ტილოს ნაჭერში რამდენი ძაფია ტილოსი და რამდენი ურევია ბამბისა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 დეკემბერი

კონსტანტინეპოლი. საბერძნეთის დელეგატებს იმედი აქვთ, რომ ის საგანი, თუ როდის იქმნას დამტკიცებული ზავის პირობა, რომელიც საპარლამენტო მოსაზრებათა გამო იქმნა აღძრული, მშვიდობიანად დასრულდება ორისავე მხარის სასარგებლოდ.

ჰავრ. „La Flotte"-ს საზოგადოებამ, საღამოს, რუსეთის ჯავშნიანი გემის „სვეტლანას" ზღვაოსანთ დიდი ბანკეტი გაუმართა. თავმჯდომარეობდა სენატორი ზიგფრიდი. დაესწრო 800 კაცი, მათ შორის ყველა სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი. ბევრი სადღეგრძელო იქმნა წარმოთქმული. პრეფექტის თანაშემწემ ხელმწიფის, დედოფლისა და დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძის სადღეგრძელო დალია. „სვეტლანის" უფროსმა მადლობა გადაუხადა და შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტის სადღეგრძელო წარმოსთქვა. ყველანი აღტაცებულნი იყვნენ.

5 დეკემბერი

პეტერბურგი. დიდი მთავრინა ალექსანდრა იოსების ასული საზღვარ-გარეთიდგან პეტერბურგში მოვიდა.

ტულონი. საზღვაო არტილერიამ და ქვეითა რაზმმა დიდის დიდებით მიიღეს რუსეთისა და ისპანიის საზღვაო ოფიცრები. ბევრი სადღეგრძელოები წარმოსთქვეს, სხვათა შორის გენერალ კარიანტომ, სთქვა, რუსეთში ნიკოლოოზის დღესასწაულის გამო დეპეშა გავგზავნოთო.

რენსბურგი. იმპერატორი ფრიდრიხს რუეში მოვა თავად ბისმარკთან სადარბაზოდ. იმერატორი ერთ საათს დაჰყოფს.

კილი. ჯავშნიანი გემი „პეფიონი" ნავთსადგურიდგან არხისაკენ წავიდა. პრინცი ჰენრიხი სასახლიდგან ჯავშნიანი გემით „დეიტშლანდ"-ით წავიდა. შეგროვილმა ხალხმა „ვაშას" ძახილით გააცილა. იმპერატორიც „დეიტშლანდით" წავიდა. „დეიტშლანდი" ნავთსადგურიდგან გამოსვლის დროს სამხედრო გემები და იმაზე მყოფი რაზმი ზარბაზნების ცლითა და „ვაშას" ძახილით მიეგება. გემზედ იმპერატორი, პრინცი ჰენრიხი და სხვა პრინცები. პრინცესა ირენა თავისის შვილებით გემის წასვლის დროს სასახლის ფანჯარასთან იდგა.

წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესს მადლობას ვუცხადებთ ქ-ნთ ნანო აბულაძისას და თეკლე ივანოვას, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიას ერთი წყვილი საეკკლესიო დროშა, ღირებული 50 მანეთად. აგრეთვე დიდს მადლობას ვუძღვნი აზნაურ ერასტე თეიმურაზის ძეს ჯაფარიძეს, რომელმაც შემოსწირა წმიდა ნიკოლოზის ორ სამრევლო სასწავლებელს ორი დიდი ურემი დაჭრილი შეშა—ნახევარ საჟენი. იმედი მაქვს, რომ მრავალნი მიჰბაძავენ ამ სასიქადულო და კეთილ საქმეს და არ დაიშურებენ მცირედს შესაწირავს ამავე ეკკლესიის სასარგებლოდ, რომელიც ძალიან ღარიბად შესამოსელით, შანდლებით, საეკკლესიო ნივთებით და 1300 მანეთამდე ვალი აქვს.

კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის წინამძღვარი ბლ. მ. სოლ. შოშიაშვილი

განცხადებანი

Открыта подписка на 1898 г.
на еженедѣльный иллюстрированный журналъ
ВОКРУГЪ СВѢТА
14-й годъ изданія
50 иллюстрированныхъ №№ въ годъ.
Романы, повѣсти, путешествія, научныя статьи и пр.
КРОМѢ ТОГО БЕЗПЛАТНО
СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ
ЖЮЛЯ ВЕРНА
12 ТОМОВЪ!
ЛУЧШИХЪ РОМАНОВЪ:
Путешествіе капитана Гаттераса.—Путешествіе на луну.—Вокругъ луны.—Пять недѣль на воздушномъ шарѣ.—Ледяной сфинксъ.—Страна пушныхъ звѣрей.—Черная Индія.—Южная звѣзда.—Архипелагъ въ огнѣ.—Паровой домъ.
2 РОСКОШНЫЯ ПРЕМІИ:
1) Проф. Ю. Клевера „Зимній вечеръ".
2) Акад. К. В. Лебедева „Отдыхъ на соколиной охотѣ". Олеограф. въ 28 кр.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА
НА ГОДЪ: безъ картинъ 4 Р.
съ двумя картинами 5 Р.
съ доставкою и пересылкою.
Подписчикамъ—собраніе романовъ Жюля Верна, 12 книгъ, выданныя въ 1897 году, высылается за 2 рубля съ пересылкою.
Адресъ редакціи: Москва, Валовая ул., д. Т-ва И. Д. Сытина.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი
„მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში და მისი საქმეები"
ნ. წერეთლისა. ტფილისი, 1897 წ.
შინაარსი: I. რამ გამოიწვია დაარსება „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა?"
II „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის მოქმედება".
III „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა და ბ. ი—ბ კ—ძე".
IV „რა და რა ნაკლს პოულობს ი. კ—ძე მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის საქმეთა წარმოებაში?"
ფასი 5 კ.
(6—213—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 5-го Декабря 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.